პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 18 (6083) 1978 წ. 25 იანვარი ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ე. ა. შევარდნაძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1978 წლის 24 იანვარი.

## მეტოქეთა „დაკვირვება“

საბჭოთა ქვეყანაში ჩამოვიდა აშშ-ის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი, რომელიც 7 წელია საბჭოთა ათლეტებთან შეხვედრებით იწყებს სეზონს. პირველი მატჩი აშშ-ს ნაკრებს ჰქონდა გუშინ ერევანში. შემდეგ იგი მონაწილეობას მიიღებს თბილისის საერთაშორისო ტურნირში (27-29 იანვარს), რომელშიც გამოვლენ, აგრეთვე, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ირანის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, თურქეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

— ჩვენი მიზანია სატურნირო გამოცდილება მივიღოთ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატებისგან — საბჭოთა სპორტსმენებისგან, დავაკვირდეთ მეტოქეებს, რომლებიც ოლიმპიადა-80-ისთვის ემზადებიან, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ამერიკის გუნდის მწვრთნელმა, ოლიმპიადა-60-ის გამარჯვებულმა შელბი უილსონმა.

მონრეალის ოლიმპიადის მონაწილეთაგან აშშ-ის გუნდში მხოლოდ ჯ. ჰაინსი და ჯ. კორსო დარჩნენ. დანარჩენები დებიუტანტები არიან — უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სპორტული კლუბებიდან. მათი საშუალო ასაკია 22-24 წელი. ყველაზე ახალგაზრდა 19 წლის რ. სალამონი.

„დარწმუნებული ვარ, რომ მათი უმრავლესობა მოსკოვის ოლიმპიადაზეც იასპარეზებს“ — აღნიშნა უილსონმა.

ამერიკელი მოჭიდავეები ტურნეს ბაქოსა (1 თებერვალს) და მოსკოვში (4 თებერვალს) მატჩებით დაასრულებენ.

* * *

საბჭოთა კავშირში აშშ-ის მოკრივეებიც ჩამოფრინდნენ. სტუმრები ამხანაგურ მატჩებს გამართავენ მოსკოვში (29 იანვარს), დონეცკში (31 იანვარს) და ალმა-ათაში (3 თებერვალს).

თითქმის ყველა სპორტსმენი ნაკრების დებიუტანტია. მათგან ხუთი 17 წლისაა. მხოლოდ გ. პეიჯი შეხვდა საბჭოთა მძიმეწონოსნებს გასული წლის დეკემბერში და მოუგო ი. ვისოცკისა და ვ. ალექსეევს. (საკდესი).



## სპორტი — დასვენება და ჯანმრთელობა

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები, ყველა საბჭოთა ადამიანის მსგავსად, აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, ძირითადი კანონის 24-ე მუხლში წერია: „სახელმწიფო... ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას“. მასობრივი ფიზკულტურა საბჭოთა ადამიანის ჰარმონიული განვითარების საფუძველია.

სურათებზე: ზემოთ — საწარმოო ტანვარჯიში მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში; ქვემოთ — ქარხნის სტადიონზე.



## პირველი საქალაქთაშორისო

ამ დღეებში გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში შეკრებილები საინტერესო სპორტული პაექრობის მოწმენი გახდნენ. აქ გაიმართა ჭაბუკ მოკრივეთა პირველი საქალაქთაშორისო ტურნირი. საასპარეზოდ გამოვიდა ლვოვის, ერევნის, ლენინაკანის, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური კვლევითი ინსტიტუტის, სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლისა და გულრიფშის 60-ზე მეტი სპორტსმენი.

ბრძოლები საინტერესოდ წარიმართა. ჭაბუკმა მოკრივეებმა შესაშური ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. მისასალმებელია გულრიფშელ სპორტსმენთა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ა. მინასიანი) კარგი გამოსვლა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ს. გაბრიელიანი, გ. ერემიანი (ორივე — ერევანი), გ. შარტავა, ზ. ფიფია (ორივე — სოხუმი), მ. არუთინიანი (ერევანი), ლ. ვერეშჩაგინი (ლვოვი), ვ. ზუბჩენკო (სოხუმი), ა. გეგამიანი (ლენინაკანი), გ. გოგია (სოხუმი), ე. მაგდესიანი (გულრიფში).

საუკეთესოდ მომზადებული სპორტსმენისთვის დაწესებული პრიზი ლ. ვერეშჩაგინმა დაიმსახურა, ხოლო საუკეთესო ტექნიკისთვის — გულრიფშელმა მ. კეიანმა.

შ. ჯალაღონია.

## კალათბურთი

ლენინგრადში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების მორიგი მატჩები, რომლებმაც გამოავლინა ქვეყნის უძლიერესი ... კავშირის ჩემპიონობის პრეტენდენტები.

რიგის ტტტ-მ კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიციები, როცა დაამარცხა მოსკოვის „დინამო“ — 62:47. ბოლო დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) 83:81, „სპარტაკი“ (პენზა) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 86:85, „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 65:91, „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) — ცსკა 66:65, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 83:64.

ამრიგად, ჩემპიონობისთვის ბრძოლას გააგრძელებენ: ტტტ — 21 ქულა, მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 19, „კიბირკშტისი“, ლენინგრადის „სპარტაკი“, მოსკოვის „დინამო“ — 15-15, ცსკა — 11. დანარჩენი გუნდები იასპარეზებენ VII-XII ადგილებისთვის. ესენი არიან: „სტალი“ — 9 ქულა, „ურალმაში“ — 8, „უნივერსიტეტი“ — 6, ნოვოსიბირსკის „დინამო“, პენზის „სპარტაკი“ — 5-5, მოსკოვის „სპარტაკი“ — 3.

## წყალბურთი

გორკში დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების პირველი საკავშირო ტურნირი ქალაქის სპორტკომიტეტის პრიზზე. მასში მონაწილეობდნენ უმაღლესი ლიგის გუნდები — თბილისისა და ალმა-ათის „დინამო“, ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბი — „მოსკვიჩი“, აგრეთვე, მასპინძლები — „ავტომობილისტის“ წყალბურთელები. გადამწყვეტ მატჩში ალმაათელებმა სძლიეს მასპინძლებს 8:4 და ჯილდოს პირველი მფლობელები გახდნენ. II ადგილზე მასპინძლები დარჩნენ, ხოლო III — თბილისელები.

## ძიუდო

პარიზი. 18 წლის რიგელმა ალექსანდრე იაცკევიჩმა, რომელიც აქ ძიუდოისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობდა (86 კგ-მდე) ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა, ფინალში კი მოუგო იაპონელ ნოსეს.

პიერ კუბერტენის სახელობის დახურული დარბაზის სარბიელზე 14 ქვეყნის ძიუდოისტებმა მოიყარეს თავი.

ჩვენს ახალგაზრდა გუნდში (საშუალო ასაკი 20 წელია) იაცკევიჩის „ოქროს“ (ეს საბჭოთა ძიუდოისტების მიერ პარიზის ტურნირებში 8 წლის მანძილზე მოპოვებული მესამე ოქროს მედალია) „ბრინჯაო“ მიუმატა კიეველმა ვიტალი ბიჩენკომ (78 კგ-მდე) (საკდესი).

# მსოფლიო ჩემპიონატს გადააჭარბებს...

### რეპორტაჟი



27, 28, 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, კუბის, აშშ-ს, იაპონიის, მონღოლეთის, თურქეთის, ირანის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს საუკეთესო მოჭიდავეები.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზში ჩვენი კორესპონდენტი დაესწრო ქართველი მოჭიდავეების წვრთნას...

კალათბურთის სარბიელზე უცნაური გუნდები ეპაექრებიან ერთმანეთს. ორივე გუნდის წევრები, კალათბურთელთა კვალობაზე, სიმაღლით ვერ დაიტრაბახებენ. ყველაზე მაღალი ასე, მეტრი და ოთხმოცდათხუთმეტი სანტიმეტრი თუ იქნება. სამაგიეროდ, წონით გამოირჩევიან. ორი მოთამაშე ბარე 130 კილოგრამამდე იქნება, კიდევ რამდენიმე — 100 კილოგრამს გადაცილებული.

თუმცა ბევრს მოძრაობენ, მაგრამ მაინც დინჯად, აუღელვებლად თამაშობენ, თითქოს გამარჯვება არც ერთ მხარეს არ უნდაო. მაგრამ თანდათან აზარტში შედიან, უცებ „ფეთქდებიან“ და ერთი გოლიათი ზღართანს ადენს იატაკზე...

— ფრთხილად, ბიჭებო, ფრთხილად. ტურნირამდე სამი-ოთხი დღეღა დაგვრჩენია, — იძახის მწვრთნელი და შეშფოთებული გარბის წაქცეულისკენ.

ყველაფერი რიგზეა, თამაში გრძელდება.

— თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირისთვის ვემზადებით, — გვეუბნება საქართველოს ფალავანთა უფროსი მწვრთნელი მარლენ ოსიყმაშვილი. — დილით საწვრთნელი ბრძოლები გვქონდა. ახლა, როგორც ხედავთ, კალათბურთს ვთამაშობთ. ჩვენი 18 კაციანი ნაკრები ოთხად გავყავით. ახლა 80 კილოგრამზე მძიმე წონის მოჭიდავეები თამაშობენ. ერთი მხარე აფხაზეთია, მეორე — თბილისი.

ვუყურებთ მოთამაშეებს და გვეღიმება — ამდენ გოლიათებში ერთი ჩია ტანის ფალავანია. ქარიშხალივით დაჰქრის მოედანზე. გოლიათებს ხან მარცხნივ ჩაუქროლებს ხოლმე მეტეორივით, ხან მარჯვნივ.

— ეგ ტრისტან აზსავაა, — გვეუბნება მარლენი. — თბილისელებს მოთამაშე დააკლდათ და უმჩატესი წონის ფალავნით „გააძლიერეს“ გუნდი. — ტრისტანის „გაბარიტები“ასეთია: წონა — 48 კილოგრამი, სიმაღლე — მეტრი და ორმოცდათექვსმეტი.

— მსუბუქი წონები, ხატოვნად რომ გითხრათ, ჩვენი აქილევსის ქუსლია. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც საშუალო და მძიმე წონებში გვილხინს. გვილხინს კი არა და, დღესდღეობით სასიხარულო არაფერი გვაქვს. მთელ საქართველოში ერთი კაციც ვერ გვეგულება, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მკვეთრად გამოხატული პირველი ნომერი რომ იყოს. შარშან „ლელოში“ სამართლიანად გაგვაკრიტიკეს, ჩვენი რესპუბლიკიდან თბილისის საერთაშორისო ტურნირში ერთადერთი კაცი გახდა ჩემპიონი...

დრო იყო, სპორტის სასახლეში ხუთი-ექვსი ქართველი ფალავნის გამარჯვების აღსანიშნავად რესპუბლიკის ჰიმნი ჟღერდა. ორი-სამი ჩემპიონი ხომ მუდამ გვყავდა და გვყავდა, — გვეუბნება უფროსი მწვრთნელი და თან მოჭიდავეკალათბურთელთა თამაშს ვადევნებთ თვალს. მოთამაშეთა შორის ვერ ვხედავთ ქართველ ფალავანთა ლიდერს — ლევან თედიაშვილს. არც ახალგაზრდა პერსპექტიული გიორგი მაკასარაშვილი სჩანს.

თითქოს ფიქრებს მიგვიხვდაო, მარლენი გვეუბნება:

— ლევანი და გიორგი წახკაძორში, საბჭოთა ნაკრებთან ერთად იმყოფებიან შეკრებაზე. ისინი აუცილებლად გამოვლენ თბილისის

(დასასრული მე-8 გვ.).

## სპორტული ბაზების მშენებლობა — №1 პრობლემა

# საფუძვლიანი გარდატეხის კვირა

**ამას შემდეგ**, რაც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. მენთეშაშვილი** პრაქტიკულად ჩაერია თბილისში, სანაპიროზე აუზის მშენებლობის საქმეში და ტრესტ „ინჟმშენში“ გამართულ მშენებლობის შტაბის სხდომებს პირადად უძღვება, ობიექტზე სურათი აშკარად შეიცვალა — მოიჯარეებმაც და ქვემოიჯარეებმაც შრომის ტემპს საგრძნობლად უმატეს, მაგრამ იმ დონეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს, რაც დასახული ამოცანის გადასაწყვეტად არის საჭირო.

ჩვენი საგუშაგოს წინა მასალაში ვწერდით, რომ „ინჟმშენს“ დაევალა ყოველკვირეული სამუშაო გრაფიკის შედგენა; ქვემოიჯარეებს — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო ტრესტს, „საქსპორტმშენს“, ჯანმრთელობის დაცვის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოსა და აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სათანადო დავალებანი მიეცათ, ძირითადად გადაწყდა ობიექტის მასალებით უზრუნველყოფის საკითხიც...

ჩვენი გამოსვლის შემდეგ „ინჟმშენში“ შტაბის ორი სხდომა გაიმართა. 14 იანვრის სხდომაზე იმედით სავსე იყო მშენებლობის ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელის, ტრესტ „ინჟმშენის“ მთავარი ინჟინრის **თ. ებრალიძის** გამოსვლა. მან შეკრებილთ მოახსენა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით ძირითადად მოგვარდა აუზის მშენებლობის ცემენტით, ლითონით, კაფელის ფილებით, ხეტყითა და სხვა სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის საქმე, ყველა ქვემოიჯარეს მიეცა სამუშაო ფრონტი...

მაგრამ ისიც გაირკვა, რომ გათვალისწინებული 225 მუშის მაგიერ იმ დღეს ობიექტზე მხოლოდ 64 კაცი იყო დასაქმებული, ქვემოიჯარეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სათანადო ხელშეწყობა, ტემპი გრაფიკის შესრულებას ვერ უზრუნველყოფდა...

სულ რაღაც ერთი კვირით ადრე მოიჯარემ არ იცოდა, როგორ გადაწყდებოდა ჭერისთვის 600 კვ მეტრი ალუმინის ფილებისა და ვიტრაჟებისთვის 1500 კგ ალუმინის შოვნისა და ჩარჩოების დამზადების, 3000 გრძივი მეტრი ლარტყების, 870 კვ მეტრი სადურგლო სამუშაოების საკითხები. ახლა კი როგორც ითქვა, ამ მხრივაც ბევრი რამ მოუგვარებიათ. მაგრამ ნაკლოვანებები ჯერ კიდევ საკმაოდ გახლდათ, ამიტომ შტაბს დაევალა საქმიანობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისთვის არაფერი დაეზოგა.

უკანასკნელ კვირაში ბევრ პოზიციას ნათელი მოეფინა — ქვემოიჯარეებმა უკვე შუა იანვარში იცოდნენ სად რა უნდა გაეკეთებინათ, როდის უნდა დაემთავრებინათ საქმე და რა მოცულობის სამუშაო უნდა შეესრულებინათ...

თუ დავალებათა განაწილების გრაფიკს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ თბილისის აღმასკომის სარემონტო ტრესტმა პრესკორპუსი და მარცხენა მხრის ყველა სამუშაო 25 აპრილამდე უნდა დაამთავროს.

„საქსპორტმშენმა“ ათი დღით ადრე უნდა უზრუნველყოს სააქტო დარბაზის, ფოიესა და სხვათა მოწყობა. ფაქტიურად ამ ორგანიზაციას ყველა სხვა ქვემოიჯარეზე მეტი საქმე აქვს გასაკეთებელი.

ჯანდაცვის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველომაც 15 აპრილისთვის უნდა დაამთავროს სარეაბილიტაციო ცენტრის, ხოლო ქალაქის საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს მშენებლებმა — კაფე-ბარის და სხვათა აგება და შელესვა.

მნიშვნელოვანი დავალება აქვთ შესასრულებელი, აგრეთვე, თბილისის სამონტაჟო სამმართველოს „სანტექმონტაჟის“ სპეციალისტებსა და სხვა დამხმარე ორგანიზაციებს, მაგრამ მთავარი მაინც „ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო სამმართველოა, რომელსაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი სამუშაოები აქვს დარჩენილი. ფაქტიურად ამ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ქვემოიჯარეთა საქმიანობის ტემპი და ხარისხი.

გასულ შაბათს გაიმართა ოპერატიული შტაბის მორიგი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. მენთეშაშვილი**, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **გ. გაბუნია**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ლობჟანიძე**, მისი მოადგილე **ქ. მეგრელიშვილი** და აუზის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები. განვლილი კვირის მანძილზე შესრულებული მუშაობისა და ხელშემშლელი პირობების შესახებ ინფორმაციით გამოსულმა თ. ებრალიძემ თქვა, რომ გრაფიკი ძირითადად შეუსრულებელი დარჩა — გაკეთ-




და 55 ათასი მანეთის საქმე, რაც გეგმიურს 2 ათასით ჩამორჩება. ეს ნაკლი უმთავრესად „საქსპორტმშენის“ და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს წილად მოდის, მათი საქმიანობა კი, როგორც თათბირზე გაირკვა, ცუდმა მომარაგებამაც განაპირობა — „ინჟმშენმა“ ვერ უზრუნველყო კაფელის საკმაო რაოდენობით შემოზიდვა. აქ კი ახლა ყოველდღიურად სულ ცოტა 100 კვ მეტრ კაფელს უნდა იღებდნენ.

მშენებლობა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მარაგდება სხვა მასალებით, ყველა უბანი მუშახელით არ არის უზრუნველყოფილი. როგორც უკვე ითქვა, ობიექტზე ყოველდღიურად ორ ცვლაში 225 კაცი უნდა საქმიანობდეს, სინამდვილეში 17 იანვარს 145 კაცს ემუშავნა, 18 იანვარს — 165-ს, 19 იანვარს — 175-ს, პარასკევს ეს ციფრი 181-მდე ავიდა, შაბათს კი საგრძნობლად (120 კაცი) დაეცა. ამასთან, მთლიანად არც ორცვლიანი მუშაობის საკითხია გადაწყვეტილი. მაშასადამე, განვლილ კვირაში სულ ცოტა 245 კაც-დღე გაცდა. ვფიქრობთ, ესეცაა კვირის გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობამ „ინჟმშენს“ სამართლიანად უსაყვედურა, რომ დანგრეული მექანიკური საამქროს სანაცვლო საამქროს მოწყობის დამთავრებას არ ჩქარობს.

კვლავ ჭიანურდება ჰიდროიზოლაციის სამუშაოების დაწყება. მართალია, ეს ყველაზე ძნელი პოზიციაა, რომელსაც უამინდობა აფერხებს, მაგრამ იგი დროულად უნდა გადაიჭრას, ვინაიდან სხვა არა იყოს რა, გამონაჟონი წყლები მლესავებსაც უშლის ხელს.

**მშენებლების პირობა ასეთია:** მოიჯარემ და ქვემოიჯარეებმა ამ კვირაში ყველა უბანზე ასიათასი მანეთის საქმე უნდა გააკეთონ. თათბირზე გაირკვა, რომ მშენებლებს მასალის მიწოდებაში შეფერხება აღარ ექნებათ. ამის გარანტიას იძლეოდა ყველა, ვისაც აუზის კაფელით, გაჯით, ცემენტით, ლითონითა და სხვა მასალებით უზრუნველყოფა ევალება.

ეს კვირა საფუძვლიანი გარდატეხის კვირა უნდა იყოს.

**ო. ზილაშვილი.**

# განვავითაროთ ფეხბურთი მედიცინასთან კავშირში

● **სპეციალისტები გვირჩევენ** ●

**როცა** ვლაპარაკობთ სპორტის რომელიმე სახეობაზე, კერძოდ, ფეხბურთზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს იგი ეყრდნობა თანამედროვე მეცნიერულ საფუძვლებს. მეცნიერებასთან, მედიცინასთან მჭიდრო კავშირის გარეშე ჩვენს მწვრთნელებს უთუოდ გაუჭირდებათ მაღალი კვალიფიკაციის გუნდებისა და ცალკეულ ფეხბურთელთა აღზრდა. ჩვენ კი მოწმენი ვართ, რომ მწვრთნელთა დიდი ნაწილი თავის მუშაობაში წვრთნის ემპირიულ მეთოდებს ემყარება. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი საკითხი, როგორიცაა ფეხბურთელის ფიზიკურ შესაძლებლობათა უნარის განსაზღვრა, რომლის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური მეთოდებით შეიძლება. მწვრთნელი ხშირად აძლევს ფეხბურთელს დავალებას შეასრულოს დიდი მოცულობის კუნთური მუშაობა, იმ დროს, როდესაც არ იცის ამ ფეხბურთელის ფიზიკური მუშაობის უნარი. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ სასურველის საწინააღმდეგო შედეგი.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სამეცნიერო-მეთოდურმა კომისიამ შეისწავლა სამედიცინო მომსახურების საქმე რესპუბლიკის წამყვან გუნდებში და გამოავლინა მრავალი ხარვეზი. ფეხბურთელთა სამედიცინო მომსახურების საკითხი ნაკლებად აღელვებს მწვრთნელთა უმეტესობას, ისინი კმაყოფილდებიან ერთჯერადი, არასრული საექიმო შემოწმებით, რაც ძალზე ცოტაა. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისის ბავშვთა სკოლებში (განათლების განყოფილების სპეციალიზებული სპორტსკოლა, „ავაზა“, „განთიადი“).

სპორტული მედიცინა დიდ დახმარებას უწევს მწვრთნელებს. სპეციალური ფიზიოლოგიური დაკვირვებით შესაძლებელს ხდის გამოავლინოს დარღვევები საწვრთნელი მეცადინეობის პროცესში, რომელთა დროული აღკვეთა ალბათ ძირფესვიანად შეცვლის მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საქმეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ესა თუ ის ფიზიკური მოძრაობა, თვით ფეხბურთის თამაშიც რთული პირობითი რეფლექსური მექანიზმებით ხორციელდება. ცნობილია, რომ ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელია ბურთის დიდხანს ტარება, მოკლე გადაცემები და სხვ. ჩვენში წვრთნის დროს ხშირად იყენებენ ამ ელემენტებს, სისტემატური ვარჯიში კი მოკლე გადაცემაზე, ან ბურთის ტარებაზე მოზარდ ფეხბურთელს თანდათან გამოუმუშავებს მტკიცე ჩვევას აღნიშნულ მოძრაობებზე, გადაჩვევა შემდგომში ძნელი ხდება. სპორტსმენს ხანგრძლივი წვრთნის პროცესში უმუშავდება მტკიცე დინამიური სტერეოტიპი ამა თუ იმ მოძრაობაზე და ამიტომაა, რომ თითოეული მოძრაობის, ილეთის ან ჩვევის ბავშვობიდან ჩანერგვა მაღალი კლასის სპორტსმენის მომზადების ერთ-ერთი საიმედო საწინდარია.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ საწვრთნელ მეცადინეობაზე მწვრთნელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ვარჯიშს როგორც ახლო, ისე შორი მანძილიდან კარის აღებაზე (ბურთის კარში დარტყმა). სამწუხაროდ, როდესაც უყურებ ოფიციალურ მ ა ტ ჩ ე ბ ს, ხ შ ი რად ამჩნევ, რომ ჩვენი ფეხბურთელები (განსაკუთრებით მეკარის მოედანზე) ნაკლებად აწარმოებენ ბურთის ისეთ გათამაშებას, რომელიც აუცილებლად და დროულად უნდა დაბოლოვდეს კარში დარტყმით. გამოდის, რომ მათ არა აქვთ გამომუშავებული საწვრთნელ თამაშებზე სათანადო ჩვევა, რის გამოც მატჩის დროს ვეღარ ახერხებენ თამაშის ამ ძირითადი მომენტის პრაქტიკულად განხორციელებას. ყოველივე აღნიშნული მოითხოვს დიდ და დაძაბულ მუშაობას ფეხბურთელისა და მწვრთნელის მხრივ. დღეს ფეხბურთელები ვალდებული არიან მრავალჯერ გაიმეორონ ამა თუ იმ მოძრაობათა კომბინაცია, რათა შეძლონ მისი უნივერსალურად შესრულება, ამავე დროს საკმარისი არ არის, მაგალითად, თავდასხმა კარგად იყოს დაუფლებული მარტო ერთი რომელიმე ნახაზის მიხედვით კომბინაციური თამაშის ჩატარების ჩვევას. გუნდს აუცილებლად უნდა გააჩნდეს სხვა ტიპიური კომბინაციებიც, რათა საჭიროების შემთხვევაში შეეძლოს თამაშის გარდატეხის მიზნით მათი ცვლა, ეს კი, სამწუხაროდ, სადღეისოდ ჩვენ გუნდებში ჯერ კიდევ იშვიათად შეიმჩნევა.

მართალია, ფეხბურთზე წერა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ყველა მეცნიერული მითითების პრაქტიკულად განხორციელება, მაგრამ ცხოვრება ამას მოითხოვს, ამიტომ დროა ყოველ საფეხბურთო სკოლაში შეიქმნას ექსპერიმენტული ჯგუფები. ამ ჯგუფებს წვრთნის სხვადასხვა მეთოდით ჩაუტარდებათ მეცადინეობა იმ მთელი რიგი ჯერ კიდევ სადავო საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, რომელთა ირგვლივ მწვრთნელთა შორის პოლემიკა დღესაც გრძელდება. ამავე დროს, საჭიროა გათვალისწინებული იქნას ისიც, რომ თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშის ყოველმხრივ მომზადებას საფუძვლად უდევს მისი საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება. თუ რომელს აქვს მეტი უპირატესობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ეს საკითხი დღესაც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნულ სახეობად არის ქცეული, ამიტომ მისი შემდგომი განვითარება მოითხოვს სხვადასხვა უწყების მხრივ ფეხბურთისადმი ერთნაირი ინტერესის გამოვლინებას და ქმედითი დახმარების აღმოჩენას.

**რ. სვანიშვილი,**
რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

**გ. აროშვილი,**
ექიმი, ფეხბურთის ფედერაციის სამეცნიერო-მეთოდური კომისიის წევრი.



# გააზრებული, ტექნიკური თამაში

**ამას წინათ** ჩატარდა პირველობა თბილისის რაიონების სპორტული სკოლების სასწავლო ჯგუფებს შორის. ეს შეჯიბრება მიზნად ისახავდა ხელბურთის პოპულარიზაციას, თანრიგოსნების მომზადებასა და საუკეთესოთა შერჩევას.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ლენინის, კიროვის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, საქარხნო, 1 მაისის რაიონებისა და თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ხელბურთელთა სპეციალიზებული სკოლის გუნდები. შეჯიბრება ჩატარდა სამ ასაკობრივ ჯგუფში წრიული სისტემით.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც ახლო მომავალში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს შეავსებენ.

მოწონება დაიმსახურა ოქტომბრის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ბიჭების (1966-67 წლებში დაბადებულები) გუნდმა, რომელმაც მაყურებელი გააზრებული, ტექნიკური თამაშით მოხიბლა.

**კ. სალუქვაძე.**

## სპორტული თელავი

**გაიმართა** თელავის რაიონში კალათბურთის ცნობილი პოპულარიზატორის თ. გეგელიძის ტრადიციული მემორიალი. შეჯიბრებაში რაიონის 22 სკოლის გუნდები ასპარეზობდნენ. თასის მფლობელი გახდა ქალაქის III საშუალო სკოლის კოლექტივი.

**ჩატარდა** ქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატი, სადაც ყველას აჯობა პირველთანრიგოსანმა, ინჟინერმა ა. გურასპიშვილმა.

**ჭადრაკში** გაზეთ „ალაზნის განთიადის“ გარდამავალი თასის გათამაშებაში, რომელშიც რაიონის წარმოება-დაწესებულებების გუნდები მონაწილეობდნენ, ჩემპიონობა ქალაქის საავადმყოფოს კოლექტივმა მოიპოვა.

**გ. ელიოზიშვილი**
(ჩვენი კორ.)

# თუ საქმე გიყვარს...

**თბილისის** მე-18 საშუალო პროფტექსასწავლებლის ფიზაღზრდის ხელმძღვანელს ოთარ გერაძეს 50 წელი შეუსრულდა. სიცოცხლის ნახევარი მან სპორტის სამსახურს მოანდომა. მისი დაუღალავი შრომა, გამრჯე მარჯვენა კარგად ეტყობა სასწავლებელს (დირექტორი დ. დავითაშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ბ. კალანდრიშვილი), რომელმაც შარშან სპორტული მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკაში II ადგილი დაიკავა.

სასწავლებელში 900-მდე მოსწავლეა, უმრავლესობა ფიზკულტურელია, 292 აღსაზრდელი ჩაბმულია „შრომითი რეზერვების“ სპორტულ სექციებში და შედეგიც სახეზეა — ორმა ველოსიპედისტმა სპორტის ოსტატის, ოთხმა — პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულა, მასობრივი თანრიგის ნორმატივები 650 მოსწავლემ ჩააბარა, ხოლო მშდ კომპლექსისა- 274-მა. „სსრკ ტურისტის“ წოდება 310 კაცს მიენიჭა.

სასწავლებელი სპორტული ბაზების ნაკლებობას განიცდის, მაგრამ სპორტის დიდ სიყვარულს თავისი გააქვს: იქაური ფიზკულტურელები ფართოდ სარგებლობენ სხვადასხვა ორგანიზაციების სპორტდარბაზებით, მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას კი ლისის ტბის მიდამოებში ატარებენ.

წლეულს განზრახულია სპორტული დარბაზის მშენებლობის დაწყება, რაც სასწავლებლის აღზრდილთა ახალ-ახალი წარმატებების საწინდარი იქნება.

**ა. იორდანიშვილი.**

# მსოფლიო ჩემპიონატს გადააჭარბებს...

დასასრული

...საერთაშორისო ტურნირში. მათთან, ნოდარ მოდებაძესთან და რომან მარსაგიშვილთან ერთად სპორტის სასახლის სარბიელზე ვიხილავთ ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოჭიდავეებს დათო გიგაურს, თემურ საჯაიას, ჯემალ ტარიელაძეს, ნიკო როსტომაშვილს, თემურ გაბიძეს, მალხაზ მერმანიშვილს... ნაკრებში სულ თვრამეტი კაცი გვყავს, მათი უმრავლესობა 17-18 წლისაა. ჩვენ დღეისთვის კიდევ გვყავს ისეთი მოჭიდავეები, რომლებიც ამ 17-18 წლის ბიჭებზე, ცოტა არ იყოს, ძლიერნიც არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთ ადგილს ტკეპნიან და აღარც პერსპექტივა აქვთ. სწორედ ამიტომ...

მწვრთნელმა სიტყვა ველარ დაასრულა. შეშფოთებული წამოხტა და მოედნისკენ გაიქცა. ერთ-ერთი მოთამაშე ხელის მტევნების სრესით და დამანჭული სახით მოედნის სტოვებდა.

— ეგ არაფერია, ნოდარ, ცივი წყალი დაისხი, შემდეგ თოვლი დაიდე, — დაარიგა მწვრთნელმა. მერე მოთამაშეებს მიუბრუნდა, კიდევ ერთხელ შეახსენა, ფრთხილად ითამაშეთო და დაბრუნდა.

— ჰო, იმას გეუბნებოდით, ზოგიერთმა ჩვენმა მოჭიდავემ ერთი ადგილის ტკეპნა დაიწყო, — გააგრძელა მწვრთნელმა — სწორედ ამიტომ გავაახალგაზრდავეთ გუნდი. ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეებისთვის, და არა მხოლოდ მათთვის, თბილისის საერთაშორისო ტურნირი დიდი სკოლა, სკოლა კი არა, ჭეშმარიტი აკადემია იქნება. თვით ის ფაქტი, რომ წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის სურვილი განაცხადა მრავალმა ქვეყანამ, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. თბილისის საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატს გადააჭარბებს. საქმე იმაშია, რომ მსოფლიო ჩემპიონატებში თითო გუნდს თითო წონაში თითო მოჭიდავე გამოჰყავს. ახლა კი სპორტის სასახლის სარბიელზე ზოგიერთი გუნდი თითო წონით კატეგორიაში ერთზე მეტ ფალავანს გამოიყვანს. საბჭოთა ნაკრები, მაგალითად, ხუთხუთ მოჭიდავეს გამოცდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ნაკრები ფაქტიურად ხუთი გუნდით იასპარეზებს. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ზოგიერთ წონაში ერთი კაცი გვეყოლება, ზოგიერთში სამი. სამ ათლეტს გამოვცდით, მაგალითად 82 კგ. წონით კატეგორიაში. ესენი იქნებიან საჯაია, მარსაგიშვილი და იაშვილი. ასევე იქნება 100 კილოგრამში, სადაც სარბიელზე ვიხილავთ თედიაშვილს, მერმანიშვილსა და ხუტაბას.

... ამასობაში პირველი ტაიმიც დამთავრდა. მარშანია პირდაპირ მწვრთნელისკენ გამოიქცა და მაჯა გაუწოდა.

— ერთი, ორი, სამი... სწრაფად ითვლის პულსს მწვრთნელი. ჩვენ კი მარშანიას ვაკვირდებით. გვეჩვენება, რომ თითქოს ცდილობს მშვიდად ისუნთქოს. სახეზე კი ოფლის წვეთები ისე ჩამოსდის, როგორც ფანჯრის მინებზე წვიმის წვეთები. სხვებიც ამ დღეში არიან.

— 141! — ერთი წუთის შემდეგ ამბობს მწვრთნელი და იქვე დასძენს — გეტყობა, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მოკეთებულხარ.

— ჰო. არა, სისწრაფე და რეაქცია, მე მგონი აღვიდგინე. მაგრამ, ცოტა ლონე მაკლია.

— სამი დღე დაისვენე. მერე ვნახოთ.

კალათბურთელთა სარბიელზე თამაში რომ განახლდა, ახლა ჩვენ გვითხრა მწვრთნელმა, ავად იყო და ჯერ კიდევ ვერ გადაგვიწყვეტია, ვაჭიდავებთ თუ არაო.

— რამ გამოიწვია ჩვენი და საბჭოთა გუნდების გაზრდა? — კითხვას გვიბრუნებს უფროსი მწვრთნელი და იქვე გვპასუხობს:

— მაისში ევროპის პირველობა გაიმართება ბულგარეთში, ხოლო ივნისში ფინეთი უმასპინძლებს ასეთსავე შეჯიბრებას, ოღონდ ახალგაზრდებში. ამ შეჯიბრებისთვის ისეთ გენერალურ რეპეტიციას, როგორც თბილისის საერთაშორისო ტურნირია, უკეთესს ვერავინ ინატრებს. ქართველი მოჭიდავეებიდან ფინეთში გამოსასვლელად მეტნაკლები შანსი აქვთ დათო გიგაურს, გიორგი მაკასარაშვილს, ნოდარ ზეკურიშვილს, მალხაზ მერმანიშვილსა და ჯემალ ტარიელაძეს.

... თამაში დამთავრდა. გამომშვიდობებისას კალათბურთში შეხვედრის ანგარიშს უბის წიგნაკში ვიწერთ — 30:26.

— დაწერეთ, გაიმარჯვა აფხაზეთის გუნდმა, რომელიც აბაშელი ამირან ქვილითაიათი იყო გაძლიერებული-თქო. — გვეუბნება ვაჟა იმერლიშვილი და თან ოფლს იწმენდს სახიდან. მალე კი მეტოქენი სტოვებენ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზს და შინისკენ მიდიან. ყველას ერთი გზა აქვს — „ლოკომოტივის“ სტადიონზე ცხოვრობენ.

ა. გურასაშვილი.



## ჩემპიონთა სამჭედლო

თბილისის საქალაქო აღმასკომის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლის აღზრდილთა სახელებს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. აქ ცამეტი წლის მანძილზე სსრ კავშირის მრავალი ჩემპიონი აღზარდეს.

— ახალმა წელმა ახალი სიხარული მოგვიტანა, — თქვა ტანვარჯიშის სკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მასწავლებელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა მიხეილ იმნაძემ, — ცამეტი წლის ხათუნა ნანიშვილი, საკავშირო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის სამმართველოს გადაწყვეტილებით შეყვანილია ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

ამ დღეებში სკოლის 42 ჯგუფში გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით 400 სპორტსმენზე მეტი ვარჯიშობს. სწავლების პროგრამაში შედის ტანვარჯიშის რთული ელემენტები, აკრობატული და ქორეოგრაფიული ვარჯიშები. ნორჩების გულმოდგინებამ და შრომისმოყვარეობამ, მათი მასწავლებლების სიმტკიცემ და მიზანსწრაფვამ სათანადო შედეგი გამოიღო. სკოლის ტანმოვარჯიშეებმა შარშან ბევრ შეჯიბრებაში მოიპოვეს I ადგილი. მათ ტრადიციულ მატჩში სძლიეს თავიანთ პოლონელ მეგობრებს, — „ვისლის“ (კრაკოვი) წევრებს, გაიმარჯვეს ბაქო-თბილისის სამატჩო შეხვედრაში. საქართველოს თასის გათამაშებაში წარმატებით გამოვიდნენ სპორტის ოსტატი მალხაზ ქავთარაძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი შალვა ცირეკიძე. მოზრდილთა შორის თბილისის თასზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ნორჩი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც აჯობეს „დინამოსა“ და „განთიადის“ გამოცდილ გუნდებს და პირველი ადგილები მოიპოვეს. ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს სპორტის ოსტატმა ქეთევან ციმაკურიძემ, ოსტატობის კანდიდატმა კობა სულხანიშვილმა და პირველთანრიგოსანმა გელა თოთლაძემ.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა აღნიშნა სკოლის ტანმოვარჯიშეების, მისი დირექციის, მწვრთნელთა კოლექტივის წარმატებები უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის გიორგი ბაბილოძის ხელმძღვანელობით და ოლიმპიადა-80-ისათვის მზადებასთან დაკავშირებით დაადგინა: ოლიმპიურ რეზერვად ჩაითვალოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლა.

გ. დიორტკინი.

* * *



სურათებზე: დარბაზში მიმდინარეობს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა მორიგი მეცადინეობა; მწვრთნელი დალი კილაძე და მისი აღსაზრდელები.

გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ტანვარჯიში

## ხელბურთი

ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში (26 იანვარი-5 თებერვალი) სასპარეზოდ გუშინ დანიაში გაფრინდა სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდი. მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონთა უმრავლესობამ შეინარჩუნა ადგილი გუნდში. მათ შორის არიან მსოფლიო ხელბურთის ცნობილი ოსტატები მ. იაშჩენკო, ი. კლიმოვი, ვ. მაქსიმოვი, ვ. ჩერნიშოვი, ა. ანპილოგოვი, ი. კიდიაევი, ა. რიაზანოვი, ვ. ილინი, ვ. კრავცოვი, ვ. გასიიი და სხვ. ნაკრებში, რომლის მწვრთნელია ა. ევტუშენკო, ოთხი დებიუტანტია, მათგან ვ. ბელოვი და ვ. ნოვიცკი ყველაზე ახალგაზრდები არიან (20 წლის).

საბჭოთა გუნდი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „ბ“ ჯგუფში დანიის, ისლანდიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებთან იასპარეზებს.

## ჭადრაკი

### შეთანხმდნენ ყაიმზე

გუშინწინ სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის დამატებითს მატჩში ბ. გულკომ (მოსკოვი) და ი. დორფმანმა (ლვოვი) III პარტია გაითამაშეს. მწვავე ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიშია 2:1 გულკოს სასარგებლოდ. სათამაშოა კიდევ სამი პარტია.

### დაესწარით!

თბილისის ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. 37) აწყობს ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალური მატჩის ყველა პარტიის დემონსტრირებას მაღალკვალიფიციური მოჭადრაკეების კომენტარებით. თითოეული პარტია ნაჩვენები იქნება მისი გათამაშებიდან მეორე დღეს. დასაწყისი 19 ს.

დღეს, 25 იანვარს მოეწყობა მატჩის II პარტიის დემონსტრირება.

### ამოცანა გასწორდა

როგორც მკითხველები გვატყობინებდნენ, „ლელოს“ 4 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის (თბილისი) ამოცანა არ იხსნებოდა. ავტორმა ამოცანა გაასწორა: საწყისს მდგომარეობაში მოხსნა e7 პაიკი და მის მაგიერ f6-ზე თეთრი პაიკი დასვა. ამოცანის პირობა (შამათი სამ სვლაში) იგივეა.

# მოსკოვის ოლიმპიადის პირველი ლაურეატი

მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ორ წელზე მეტია დარჩენილი, მაგრამ უკვე ცნობილია ოლიმპიადის პირველი ლაურეატი — მოსკოვის ოლიმპიადის ემბლემის ავტორი ვლადიმერ არსენტიევი. ამჟამად იგი მეორე კურსზე სწავლობს მოსკოვის უმაღლეს სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში, რომელსაც სამრეწველო გრაფიკის განყოფილების სტუდენტები სტროგანოვის სასწავლებელსაც უწოდებენ. ინტერვიუ მოკლე გამოვიდა, რადგან იგი საგამოცდო სესიის დროს შედგა.

— ახლა ყველაზე პოპულარული სპორტული სუვენირებია ზაფხულის ოლიმპიადა-80-ის ემბლემიანი ხამკერდე ნიშნები. როგორ და როდის გადაწყვიტეთ ოლიმპიადის ოფიციალურ ემბლემაზე საკავშირო კონკურსში მონაწილეობა?

— თუმცა კონკურსი მთელი 1975 წლის მანძილზე მიმდინარეობდა, მე მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში შევუდექი მუშაობას. ესკიზები გავგზავნე 29 დეკემბერს — გრაფიკოსთა ამ „შეჯიბრების“ დამთავრებამდე ორი დღით ადრე. როგორც ხედავთ, შეიძლებოდა ვერც მომესწრო...

— კონკურსში წარმატება ალბათ რამდენადმე, მისაღებ გამოცდებზე „გამარჯვებაშიც“ დაგეხმარათ?

— არა, გამოცდები, როგორც ამბობენ, საერთო წესით ჩავაბარე, მაგრამ ერთი საინტერესო ამბავი კი შემემთხვა. პასუხისთვის ვემზადებოდი. ამ დროს აუდიტორიაში შემოვიდა მასწავლებელი, რომელსაც ხელში გაზეთი ეჭირა. იგი მიუახლოვდა გამომცდელს და უთხრა, რომ დამთავრდა კონკურსი ოლიმპიადის საუკეთესო ემბლემისთვის, რომლის გამარჯვებული თურმე სტროგანოვის სასწავლებელში აბარებსო. მისაღები გამოცდების დამთავრებამდე ვერავინ შეიტყო, რომ ეს მე ვიყავი.

— რით გიზიდავთ გრაფიკა?

— იმით, რომ ამ პროფესიის ადამიანები თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგნისადმი მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა მინიმუმით გამოხატავენ. ჩვენი ნაშრომებისთვის დამახასიათებელია ფორმის სიმცირე ფართო ინფორმაციასთან ერთად. ამ პოზიციიდან მივუდექი ემბლემაზე მუშაობას. მსურდა, ნებისმიერი ადამიანი ერთი შეხედვით მიმხვდარიყო, რომ ეს ემბლემა სწორედ მოსკოვის ოლიმპიადისა იყო. ვფიქრობ, ეს შევძელი კიდეც.

— რას გვეტყვით თქვენი მომავალი გეგმების შესახებ?

— ჩემი უახლოესი მიზანია წარმატებით ჩავაბარო ზამთრის გამოცდები, შემდეგ დავამთავრო სასწავლებელი და ვიმუშაო. რასაკვირველია, ოლიმპიურ თამაშებზეც მსურს დასწრება. მომწონს მძლეოსნობა და ყველა სათამაშო სახეობები.

— რას აკეთებთ ამჟამად?

— ... ვსწავლობ. პროგრამა ძალიან დატვირთულია და საჭიროა ბევრი მეცადინეობა. თავისუფალი დრო პრაქტიკულად არა მაქვს. ამის გამო შემოქმედებითი გეგმების გადადება ალბათ სწავლის დამთავრებამდე მომიწევს.

ა. ვალენტეი.
(საკდესის კორ.).

## გასული წლის ლაურეატები



ამერიკის ქალაქ კისტოუნში გამართულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატში კიეველმა ვერა ბრინძეიმ დიდი ხნის შესვენების შემდეგ საბჭოთა ქვეყანას დაუბრუნა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული.

საკდესის ფოტო.



ერთი წელია მონრეალის ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, ცნობილი ვლადიმირელი ტანმოვარჯიშე ნ. ანდრიანოვი შეჯიბრებაში არ გამოსულა, მაგრამ ნიკოლოზმა ფიცარნაგზე პირველი გამოსვლითვე დაამტკიცა, რომ იგი ძველებურად უძლიერესი სპორტსმენია. ესპანეთში მსოფლიო თასის გათამაშებაზე ანდრიანოვი კვლავ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

საკდესის ფოტო.

# მძლეოსნურ მერიდიანებზე

**ლოს ანჯელესის** დარბაზში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო ექსრეკორდსმენმა, ამერიკელმა დ. სტოუნზმა 226 სმ სიმაღლე გადალახა და პირველობა მოიგო. II ადგილზე გავიდა დარბაზებში მსოფლიო მიღწევის ავტორი გ. ჯო (კანადა) — 221 სმ. სტოუნზმა სცადა მსოფლიო მიღწევის დაბრუნება, მაგრამ 232 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას ვერ გადაევლო. ჭოკით ხტომა მოიგო გ. ლორემ (გფრ) — 540 სმ. ასეთივე შედეგი აჩვენა მსოფლიო რეკორდსმენმა მ. ტალმა (აშშ), მაგრამ II ადგილზე დარჩა. სამხტომი მოიგო მ. ტიფმა (16,69 მ), სიგრძეზე ხტომა — მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა ა. რობინსონმა (801 სმ), რომელმაც მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონს ე. უილიამსს (ყველა — აშშ) 11 სმ-ით აჯობა.

**დორტმუნდის** დარბაზში გამართული ასპარეზობის დროს 800 მეტრზე რბენაში ბ. კრაუსმა (გფრ) ქალთა შორის სეზონის საუკეთესო შედეგი მოიპოვა — 2.01,7.

**კრაისტჩერჩში** (ახალი ზელანდია) გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ქალაქის სტადიონზე ევროპის ჩემპიონმა ბ. მალინოვსკიმ (პოლონეთი) 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში 8.30,4 აჩვენა. ირლანდიელმა ი. კოგლენმა 1500 მეტრი 3 წუთსა და 40,3 წამში დაფარა და დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი ჯ. უოკერი. 5000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ რ. დიქსონს (ახალი ზელანდია) პირველობისთვის 13.15,2 დასჭირდა.

## გფრ

XXI ტურში ლიდერმა — „კიოლნმა“ მიიღო „ბაიერნი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. საინტერესოა, რომ ეს მიუნხენელთა პირველი დამარცხებაა მას შემდეგ, რაც გუნდს სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი ლორანტი. „შტუტგარტმა“, რომელიც მხოლოდ ამ სეზონში დაბრუნდა ბუნდესლიგაში, სასტიკი მარცხი აგემა „შალკე 04“-ს — 6:1. დამარცხებულთა კარში იდგა იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მეკარე მარიჩი.

აი, დანარჩენი მატჩების შედეგები: „მიუნხენ 1860“ — მიონხენგლადბახის „ბორუსია“ 1:1, „კაიზერსლაუტერნი“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 3:0, „სენტ-პაული“ (ჰამბურგი) — „საარბრიუკენი“ 1:3, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) 2:0, „ბოხუმი“ — „ვერდერი“ (ბრემენი) 2:0, „დუისბურგი“ — „ჰერტა“ (დას. ბერლინი) 2:1, „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:1.

ახლა 30 ქულით მტკიცედ ლიდერობს „კიოლნი“, რომლის შემადგენლობაში გამოჰყოფენ გამოცდილ მეკარე შუმახერს, ნაკრების ნახევარმცველ ფლოესა და ცენტრფორვარდ დ. მიულერს. დ. მიულერი 18 ბურთით პირველ ადგილზეა სნაიპერთა შორის. ამ გუნდში გამოდის იაპონელი თავდამსხმელი ოკუდერაც.

ლიდერს 5-5 ქულით ჩამორჩებიან „შტუტგარტი“ და „კაიზერსლაუტერნი“. 24-24 ქულა აქვთ „აინტრაჰტს“ (მაინის ფრანკფურტი), დიუსელდორფის „ფორტუნას“, დას. ბერლინის „ჰერტას“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“.

## ინგლისი

XXV ტურში ლიდერი — „ნოტინჰემ ფორესტი“ თამაშობდა ქ. დერბიში ადგილობრივ „დერბი ქაუნთისთან“. ფრე — 0:0. ამის შემდეგ „ნოტინჰემი“ 38 ქულით კვლავ წინაა. მას 4-4 ქულით ჩამორჩებიან „ლივერპული“, რომელმაც სტუმრად მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ (1:0) და „ევერტონი“, რომელმაც საკუთარ მინდორზე ასეთივე ანგარიშით დაამარცხა „ასტონ ვილა“.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „არსენალი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 3:1, „ბირმინგამ სიტი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 2:3, „ბრისტოლ სიტი“ — „ლესტერ სიტი“ 0:0, „კოვენტრი სიტი“ — „ჩელსი“ 5:1, „იფსვიჩ თაუნი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:2, „მანჩესტერ სიტი“ — „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 3:2, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „მიდლსბრო“ 2:4, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ნორვიჩ სიტი“ 2:1.

## ჩემპიონატები, თასები, ლიგები

ცხარე ბრძოლა მიმდინარეობს პირველ ლიგაში დარჩენისთვის. ჯერჯერობით საფრთხე რეალურად ემუქრება „ლესტერ სიტის“ (11 ქულა), შემდეგ კი „ნიუკასლ იუნაიტედს“ (14 ქულა), „ქუინზ პარკ რეინჯერსსა“ და „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ (17-17 ქულა).

## იტალია

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია მხოლოდ 3 გუნდი: „იუვენტუსი“, „მილანი“ და „ტორინო“, ამასთან თუ „იუვენტუსის“ (ჩემპიონი) და „ტორინოს“ (ვიცე-ჩემპიონი) წარმატებები სრულიად ბუნებრივია, „მილანის“ აღორძინებას ცნობილი სპეციალისტების როკოსა და ლიედჰოლმის სახელებს უკავშირებენ.

XVI ტურში ასეთი შედეგები აღინიშნა: „ატალანტა“ (ბერგამო) — „ტორინო“ 0:0, „ფიორენტინა“ — „პესკარა“ 3:0, „ინტერი“ (მილანი) — „ჯენოვა“ 2:0, „იუვენტუსი“ (ტურინი) — „რომა“ 2:0, „ლაციო“ (რომი) — „მილანი“ 2:0, „ნაპოლი“ — „ბოლონია“ 0:0, „პერუჯა“ — „ლანეროსი“ (ვიჩენცა) 1:1, „ვერონა“ — „ფოჯა“ 3:1.

21 ქულით პირველ ადგილზეა „იუვენტუსი“. 18-18 ქულა აქვთ „მილანს“, „ტორინოს“ და „ლანეროსის“.

## ჰოლანდია

სულ ნათამაშევია 20 ტური და თითქოს საქმე ისე წარიმართა, რომ ლაპარაკიც კი შეიძლება ახალ ჩემპიონზე. ყოველ შემთხვევაში, „ეინდჰოვენი“ 8 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ტვენტეს“, რაც იშვიათ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა „ეინდჰოვენს“, რომელმაც ბოლო ტურში საკუთარ მინდორზე დაამარცხა „ფეიენოორდი“ (როტერდამი) — 2:0, 36 ქულა აქვს და ბურთების ბრწყინვალე სხვაობაც 58—8. 28 ქულა მოაგროვა „ტვენტემ“, 27-27 — „აც 67 ალკმაარმა“ და „აიაქსმა“ (ამსტერდამი). დანარჩენი გუნდები საკმაოდ ჩამორჩნენ და ჯერჯერობით საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში არ მონაწილეობენ.

## საფრანგეთი

გრძელდება ცხარე ბრძოლა ჩემპიონობის 5 ძირითად პრეტენდენტს შორის. 24 ტურის შემდეგ წინ არიან „ნიცა“ (33 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი), მარსელის „ოლიმპიკი“ (32 ქულა), „მონაკო“, „ნანტი“ (31-31 ქულა) და სტრასბურგის „რესინგი“ (30).

საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონს „სენტ-ეტიენს“ 23 თამაშიდან მხოლოდ 26 ქულა აქვს და ჯერჯერობით ლიდერებს საკმაოდ ჩამორჩება.

## შოტლანდია

სავსებით ცხადია, რომ შარშანდელ ჩემპიონს „სელტიკს“ (გლაზგო) თავისი წოდების შენარჩუნების შესაძლებლობა არა აქვს. 21 თამაშიდან 19 ქულით იგი მხოლოდ მე-7 ადგილზეა.

კვლავინდებურად ლიდერობს „გლაზგო რეინჯერსი“, რომელმაც 22 თამაშის შემდეგ 34 ქულა მოაგროვა. 23 თამაშიდან 31 ქულა აქვს „აბერდინს“, დანარჩენი გუნდები ძალიან ჩამორჩნენ.

## ფეხბურთი

### საგანგებო შემთხვევები

როგორც ცნობილია, დეკემბერში გფრ-ის ბუნდესლიგაში ორი საგანგებო შემთხვევა მოხდა: 1) მიუნხენის „ბაიერნმა“ სუსტი შედეგების გამო გაათავისუფლა მწვრთნელი კრამერი, რომელსაც ხელშეკრულება 1981 წლამდე ჰქონდა; 2) მწვრთნელი ლორანტი გაიქცა მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტიდან“ ამ კლუბის დირექტორატის გაუფრთხილებლად და სათავეში ჩაუდგა „ბაიერნს“. „აინტრაჰტმა“ თავის მხრივ მწვრთნელად მიიწვია კრამერი.

ყოველივე ამას ორი სასამართლო პროცესი მოჰყვა: 1) „აინტრაჰტმა“ უჩივლა ლორანტს, რომელიც კარგად მუშაობდა, მაღალი შედეგებიც ჰქონდა და მის განთავისუფლებას არავინ ფიქრობდა. რახან ლორანტის ხელშეკრულება კიდევ კარგა ხანს უნდა გაგრძელებულიყო, „აინტრაჰტი“ მოითხოვს მისი დიდი თანხით დაჯარიმებას, ასე ვთქვათ, პირის გატეხისთვის; 2) კრამერმა „ბაიერნს“ უჩივლა ხელშეკრულების ნაადრევი გაუქმების გამო.

ორივე შემთხვევაში პასუხის გაცემა მოუხდა „ბაიერნს“. კრამერთან ურთიერთობა მან მალე მოაგვარა, გადაუხადა ჯამაგირი 1981 წლამდე და ახლა იმედოვნებს ურთიერთობა დაამყაროს „აინტრაჰტთანაც“, ე. ი. გადაუხადოს მას ჯარიმა ლორანტის მაგივრად.

— მთავარი კი ჩვენთვის ისაა, რომ „ბაიერნმა“ უკვე დაიწყო წარმატებით თამაში, — ამბობს ამ კლუბის პრეზიდენტი ნოიდეკერი.

## მეორე ტურში

**ვინტენბერგის** (გფრ) საციგაობოსლეის ტრასაზე გაიმართა ევროპის იუნიორთა პირველობა ორადგილიანი ციგებით დაშვებაში. ლენინგრადელებმა ვ. შუგუროვმა და ვ. ტერეშჩენკომ ბრინჯაოს მედლები მოიგეს. ოქრო წილად ხვდათ გდრ-ის სპორტსმენებს, ხოლო ვერცხლი — გფრ-ის მოციგავეებს.

**ცესისში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის მოციგავეთა ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები. ვაჟთა შორის ერთადგილიანი ციგებით 1020-მეტრიან დისტანციაზე სამი დაშვების ჯამში I და II ადგილები დაიმსახურეს „ვარპას“ სპორტსმენებმა — ი. ეისაკსმა (2.53,97) და ა. ციმანისმა (2.54,18).

ქალებისთვის ტრასა უფრო მოკლე იყო. პირველობა მოიგო ნ. მიტკევიჩმა („ზენიტი“) — 2.19,4. მას ა. რიბენა („ვარპა“) — 1,5 წამით ჩამორჩა.

ვაჟთა შორის ორადგილიანებით დაშვებაში იმარჯვეს ძმებმა ნ. და ვ. პაპიროვებმა („ზენიტი“) — 1.29,5. ს. ხაილოვი და ა. ბაზჩენკო („სპარტაკი“) მათ 0,3 წამით ჩამორჩა.

## თხილამურები

# ტონი გუსტავსონის აზრით

სტოკჰოლმი. 1968 წლის გრენობლის ოლიმპიადაში გამარჯვებისა და შვეციის ნაკრების მწვრთნელის კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ცნობილი შვედი მოთხილამურე ტონი გუსტავსონი „თავისუფალ მხატვრად“ მოგვევლინა და მით უმეტეს, სპორტის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება გუსტავსონის აზრი სათხილამურო სპორტში ძალთა შეფარდებასა და ლაჰტის მსოფლიო ჩემპიონატში თანამემამულეთა შანსებზე.

**— ვინ იქნებიან შვეციის გუნდის შემადგენლობაში?**

— ვფიქრობ, პირველ რიგში, ევა ოლსონი, ლენა კარლსონ-ლუნდბეკი, მერი იუჰანსონი, ჰერტელ პარტაპუოლი.

**— როგორი შანსები აქვს შვეციის საუკეთესო მოთხილამურე ოლსონს?**

— იგი ძლიერია, როგორც არასდროს და ძალუძს საბჭოთა და სხვა უცხოელ მოთხილამურეთა „შევიწროება“.

**— რა აზრისა ხართ მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამაში ქალებისთვის 20 კმ რბოლის შეტანის თაობაზე?**

— ეს გადაწყვეტილება დროულად მიმაჩნია. დღეს სპორტსმენები ისე კარგად არიან მომზადებული, რომ არ გაუჭირდებათ ამ დისტანციის დაძლევა.

**— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიო ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტად?**

— უპირველესად დავასახელებ საბჭოთა მოთხილამურეებს — გალინა კულაკოვას, ზინაიდა ამოსოვასა და რაისა სმეტანინას. დიდი შესაძლებლობა აქვთ გდრ-ის სპორტსმენებსაც. გამორიცხული არ არის სიურპრიზები ევა ოლსონისგან, ფინელი და ნორვეგიელი მოთხილამურეებისგან. (საკდესი).

რედაქტორი
ა. ბასილაია.



### შეიძინეთ!

**ძვირფასო მშობლებო,** თუ გსურთ, რომ თქვენი შვილები ჯანმრთელი და მოქნილი იყვნენ, შეიძინეთ ბადმინტონი.

ბადმინტონი ხელს უწყობს ბავშვის ორგანიზმის განვითარებას და მხნეობას მატებს მას.

ბადმინტონის სათამაშო კომპლექტის შეძენა შეგიძლიათ სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში.

ცეკავშირის გამგეობა.

ბაზალი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 01937